



**საკანონმდებლო
საჩივარი
ადმინისტრაციულ საქმეზე**

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

კასატორი: შენიშვნა-1

ზაზა წიკლაური

სახელი, გვარი (სახელწოდება)

პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3*

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

კასატორის წარმომადგენელი: შენიშვნა-4

ირმა მახათაძე

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

მოწინააღმდეგე მხარე: შენიშვნა-5

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ.№6

თბილისი. პინგოროყვას ქ.№7

საქართველოს მთავრობა

სახელი, გვარი (სახელწოდება)

პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შენიშვნა-7

სახელი, გვარი

სახლის ტელ.

მობილური

ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუში ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

გასაჩივრებელი გადაწყვეტილება

შენიშვნა-9

სასამართლოს დასახელება:	თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
მომხსენებელი მოსამართლე:	ირაკლი შენგელია
საქმის ნომერი:	3ბ/762-18
მიღების თარიღი:	2018 წლის 01 ივნისი

გადაწყვეტილებას ვასაჩივრებ:

სრულად	<input checked="" type="checkbox"/>
ნაწილობრივ	<input type="checkbox"/>

რომელ ნაწილში?

შენიშვნა-10

საკასაციო მოთხოვნა (ბანაცხადი):

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 01 ივნისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სრულად დაკმაყოფილდება ზაზა წიკლაურის სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ.

შენიშვნა-11

კანონის საფუძვლები (მიზნები)

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-12

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- | | |
|-------------------------------------|--|
| <input type="checkbox"/> | საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემაღგენლობამ; |
| <input type="checkbox"/> | სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით; |
| <input type="checkbox"/> | სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას; |
| <input type="checkbox"/> | გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება; |
| <input type="checkbox"/> | გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები; |
| <input checked="" type="checkbox"/> | გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; |
| <input checked="" type="checkbox"/> | გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია; |
| <input type="checkbox"/> | გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი; |
| <input type="checkbox"/> | გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ; |
| <input type="checkbox"/> | საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი. |

დასაბუთება: სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ზაზა წიკლაურის სააპელაციო საჩივრის მოტივების გათვალისწინებით არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეუმოწმებია. პალატამ არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტების თანახმად მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია

დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

შენიშვნა-13 შენიშვნა-14

წინამდებარე საკასაციო საჩივარი დასაშვებია სსსკ-ის 34.3 მუხლის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე და ამავე მუხლის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. კერძოდ:

სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის "ა", "ბ", "გ" და 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტების მოთხოვნები. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად

საკმარისად არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას . . . ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასამართლო შემადგენლობამ არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტი და მისი წარმომადგენელი საქმის განხილვისას ორივე ინსტანციის სასამართლოში დაჟინებით მიუთითებდნენ იმ ფაქტობრივი გარემოებების და შესაბამისი მტკიცებულებების შესახებ, რომლებიც უცილობლად განაპირობდნენ სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას. იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სრულიად დაუსაბუთებელია მიგვანჩია, რომ როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ უხეშად დაარღვია ზემოაღნიშნული საერთაშორისო აქტის მითითებული ნორმის მოთხოვნები.

გასაჩივრებული განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3. მუხლის „გ“ ქვეპუნქტით ხელმძღვანელობით სტანდარტთან დაკავშირებით (საქმე №ზს-52-52(კ-08)) კერძოდ: „სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტის მიხედვით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო

საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის ე) და ვ) ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალწარმოების გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალწარმოების არსსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება.“

ამდენად, საკასაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ სასამართლომ თითოეული საქმის განხილვისას უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები, სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საქმეზე განახორციელა ფორმალური მართლმსაჯულება, რაც გამოიხატა პალატის მიერ სსსკ-ის 390.2 მუხლის "გ" ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრული სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციის საწინააღმდეგოდ განხორციელებაში. წინამდებარე საქმეზე მართლმსაჯულების ფორმალურად განხორციელებას ადასტურებს კასატორის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული პრეტენზიები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის სრულყოფილად შესწავლისა და საპროცესო ნორმების მოთხოვნათა დაცვით სწორად შეფასების შემთხვევაში საქმეზე გამოტანილი იქნებოდა არსებითად სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, 105-ე მუხლის მეორე ნაწილი, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, მითითებული საპროცესო დარღვევების გამო ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენების შედეგად საქმეზე გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება. სასამართლომ არ შეამოწმა და არ შეაფასა სარჩელში, საპაექრო სიტყვაში, სააპელაციო საჩივარში, ახსნა-განმარტებებში წარმოდგენილი საფუძვლიანი პრეტენზიები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, შესაბამისად გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება გაუქმებას.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - სსსკ-ის 17.2 მუხლი, რომლის თანახმადაც თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა

აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. განსახილველ შემთხვევაში კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. სარჩელში, სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილია დასაბუთებული პრეტენზიები გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ, ხოლო მოქმედი ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების მტკიცების ტვირთი მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება, ხოლო ადმინისტრაციული საჩივართან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებისას ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მტკიცების ტვირთი - ("დარიალი 110" ეგხ-ის რეკონსტრუქცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოახდენს თუ არა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცების ტვირთს) - არასწორად არის გადაკისრებული ადმინისტრაციული საჩივრის ავტორზე, რაც სრულად გაიზიარა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე წინამდებარე საქმის განმხილველმა პირველი ინსტანციის და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა და რაც მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად დაუშვებელია. მით უფრო საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არის დადგენილი და დადასტურებული, რომ "დარიალი 110"ის ეგხ-ს რეკონსტრუქციის პროექტი გათავისუფლებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან, ხოლო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა აღნიშნულზე დამტკიცებულია გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევით. უტყუარად არის დადასტურებული, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას საერთოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა რა გავლენას/ზემოქმედებას ახდენს "დარიალი 110" ეგხ-ის რეკონსტრუქცია გარემოზე და არის თუ არა ეს გავლენა მნიშვნელოვანი. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცების ტვირთს, მაგრამ ადმინისტრაციულმა ორგანომ და სასამართლოებმა არასწორად გადააკისრეს იგი მოსარჩელეს, აპელანტს - ზაზა წიკლაურს.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა -

„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის 1-ლი მუხლი, რომლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“.

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

კონვენციის მე-6 მუხლი, რომლის თანახმად, ვინაიდან დაგეგმილ საქმიანობას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქმიანობა შედის ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობათა ჩამონათვალში, დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათაგათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე.

კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტი, რომლითაც გათვალისწინებულია ზემოთჩამოთვლილი დებულებების არ გამოყენების შესაძლებლობა - „თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე“. როგორც ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ირკვევა, დაგეგმილ საქმიანობას არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავდაცვასთან.

განსახილველ შემთხვევაში პალატამ (იხ.გვ.30-31) იმსჯელა და დაასკვნა, რომ კონვენციის დებულებები სრულ შესაბამისობაშია სადავო აქტების გამოცემის დროისათვის მოქმედ "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონთან, მიუთითა, რომ დასახელებული საკანონმდებლო აქტით განსაზღვრულია ის გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლებას ითვალისწინებს (მე-11 მუხლი), რომ დასახელებული ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა ასევე შესაბამისობაშია კონვენციის მე-6 მუხლთან (საგულისხმოა, რომ მხარეს კონვენციის შესაბამისობა დასახელებულ საკანონმდებლო აქტებთან სადავოდ არ გაუხდია წინამდებარე სააპელაციო საჩივარში) და აქედან გამომდინარე, ისე დაასკვნა, რომ მითითებული კონვენციის მე-6 მუხლის დებულებები აპრიორი განსახილველ შემთხვევაზე არ ვრცელდება, რომ საერთოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა ფაქტობრივი გარემოება - დაგეგმილ საქმიანობას აქვს თუ არა საერთო ეროვნულ თავდაცვასთან, საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან და კონკრეტულად რომელი მტკიცებულებით არის დადასტურებული აღნიშნული გარემოება, რომლის არსებობის პირობებშიც იყო უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო გამოეცა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და რომლის გამოკვლევა/შეფასება სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, ხოლო დასახელებული აქტების გასაჩივრების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას შეადგენდა. დასახელებული ფაქტობრივი გარემოებები წარმოადგენდა მოთხოვნის დამფუძნებელ გარემოებებს, რომლის შესახებ მხარის მიერ მითითებულია სარჩელში, სააპელაციო საჩივარში და რომლებიც განაპირობებენ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებას, მაგრამ როგორც პირველი ინსტანციის, ისე მეორე ინსტანციის სასამართლომ განზრახ თავი აარიდა მითითებული გარემოებების გამოკვლევას და მით უფრო შეფასებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია, რომ არც სააპელაციო პალატამ შეაფასა საქმის გარემოებები და მტკიცებულებები "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის დებულებებთან მიმართებაში.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - „გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტროს 2013 წლის #38 ბრძანების მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი, რომლის თანახმად გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლება არ გულისხმობს საქმიანობის ეკოლოგიური ექსპერტიზისაგან გათავისუფლებას.

პალატამ დასახელებული ნორმის შინაარსი სრული სიზუსტით ასახა გასაჩივრებული გადაწყვეტილების 27-ე გვერდის პირველ აბზაცში, თუმცა ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე გასაჩივრებული გადაწყვეტილების 30-ე გვერდის პირველ აბზაცში სრულიად საწინააღმდეგო დასკვნა გააკეთა. კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია მოიცავდა ეგზ-ს განლაგების რაიონის გარემოზე ზოგად დახასიათებას, ფიზიკური გარემოს დახასიათებას(გეოლოგიური პირობები, ჰიდროლოგია, ფლორა, ფაუნა, კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები), დაგეგმილი საქმიანობით მოსალოდნელი რისკების ზოგად შეფასებას, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი რისკების შეფასებას და ანალიზს, როგორც მშენებლობის ასევე ექსპლოატაციის პროცესში, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებს და მონიტორინგს, გარემოსდაცვითი მონიტორინგს, ნარჩენების მართვის გეგმას, დასკვნებს და რეკომენდაციებს(რისკების ანალიზი, სავლე კვლევის შედეგები, ტექნოლოგიური ციკლის აღწერა) და ყველა ჩამოთვლილი დოკუმენტაციის საფუძველზე საქსპერტო კომისიის 2016 წლის 16 თებერვალს გაცემული #7 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის #ი-91 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ზემოხსენებული ექსპერტიზის დასკვნა მიიჩნია კანონიერად, ვინაიდან "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლით დადგენილია გამონაკლისი და როდესაც საქმიანობის განმახორციელებელი გათავისუფლებულია გზშ-გან, მას არ შეიძლება მოეთხოვოს ყველა იმ მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვა, რომელიც გაწერილია ზოგადი პროცედურის მიხედვით(იხ.29-30გვ).

ამდენად, პალატა ერთსა და იგივე გარემოებასთან მიმართებაში აკეთებს სრულიად საწინააღმდეგო დასკვნებს. კერძოდ, ერთი მხრივ, მიუთითებს, რომ „გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტროს 2013 წლის #38 ბრძანების მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლება არ გულისხმობს საქმიანობის ეკოლოგიური ექსპერტიზისაგან გათავისუფლებას, თუმცა მეორე მხრივ, მიუთითებს, რომ "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლით დადგენილია გამონაკლისი და როდესაც საქმიანობის განმახორციელებელი გათავისუფლებულია გზშ-გან, მას არ შეიძლება მოეთხოვოს ყველა იმ მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვა, რომელიც გაწერილია ზოგადი პროცედურის მიხედვით. აქედან გამომდინარე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არ იზიარებს სააპელაციო საჩივრის მოტივებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-6, მე-7 და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის არ გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც ადგენს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემისათვის საჭირო წარსადგენი დოკუმენტაციის ამომწურავ ჩამონათვალს, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის პირობებს/მოთხოვნებს, პროცედურები, ასევე დამატებით წარსადგენი დოკუმენტაციის ამომწურავ ჩამონათვალს და ა.შ. სასამართლომ საერთოდ არ მისცა შეფასება სააპელაციო საჩივრის მოტივს მასზედ, რომ სს"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ 110 კილოვოლტიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი“-ს მშენებლობისა და ექსპლოატაციის

პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზისას ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი ზემოთმიითებული დოკუმენტები, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების სპეციალურმა საბჭომ განიხილა საქმიანობის გზშ-სგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას წარმოადგენს თუ არა საჭირო და საკმარის დოკუმენტებს, რის საფუძველზეც უნდა მომზადდეს და გაიცეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. კერძოდ: "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლზე დაყრდნობით განმარტა, როდესაც საქმიანობის განმახორციელებელი გათავისუფლებულია გზშ-გან, მას არ შეიძლება მოეთხოვოს ყველა იმ მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვა, რომელიც გაწერილია ზოგადი პროცედურის მიხედვით. დასახელებული ნორმით განსაზღვრულია საქმიანობის მხოლოდ გზშ-გან გათავისუფლების და არა საქმიანობის ეკოლოგიური ექსპერტიზისაგან გათავისუფლების საგამონაკლისო შემთხვევა. აღნიშნულს ადასტურებს „გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტროს 2013 წლის #38 ბრძანების მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი, რომლის თანახმად გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლება არ გულისხმობს საქმიანობის ეკოლოგიური ექსპერტიზისაგან გათავისუფლებას.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი - სზაკ-ის 201.3 მუხლი, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანო. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ საჩივარში დასაბუთებულად იყო მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რაც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილობას განაპირობებდა ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ფუძემდებლური პრინციპები მმართველობის კანონიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შესახებ და არ შეამოწმა სადავო აქტები კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, ადმინისტრაციული საჩივრის მოტივები, სარჩელის, სააპელაციო საჩივრის მოტივები მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის დაცვით არ შეაფასა არც პირველი და არც მეორე ინსტანციის სასამართლოებმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საკასაციო საჩივარში ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზიების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე საქმე განიხილა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რის გამოც გამოტანილია არასწორი, უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გაუქმდეს.

პრეპენზია ფაქტობრივ გარემოებაზე

შენიშვნა-15 შენიშვნა-16

1. პრეპენზია

პალატამ არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, რაც განაპირობებს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებას და მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებაა. კერძოდ:

პალატამ არ გამოიკვლია და არ შეაფასა - დაგეგმილ საქმიანობას აქვს თუ არა საერთო ეროვნულ თავდაცვასთან, საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან და კონკრეტულად რომელი მტკიცებულებით არის დადასტურებული აღნიშნული გარემოება.

დასაბუთება:

პალატამ არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, რაც განაპირობებს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებას და მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებაა. კერძოდ:

პალატამ არ გამოიკვლია და არ შეაფასა - დაგეგმილ საქმიანობას აქვს თუ არა საერთო ეროვნულ თავდაცვასთან, საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან და კონკრეტულად რომელი მტკიცებულებით არის დადასტურებული აღნიშნული გარემოება ანუ არსებობდა თუ არა "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრული წინაპირობები, რომლის პირობებშიც იყო უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო გამოეცა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და რომლის დაუცველობაც განაპირობებს გასაჩივრებული აქტების ბათილობას.

2. პრეპენზია

პალატამ არ გამოიკვლია და შეფასება არ მისცა ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავდა ეგზ-ს განლაგების რაიონის გარემოზე ზოგად დახასიათებას, ფიზიკური გარემოს დახასიათებას(გეოლოგიური პირობები, ჰიდროლოგია, ფლორა, ფაუნა, კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები), დაგეგმილი საქმიანობით მოსალოდნელი რისკების ზოგად შეფასებას, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი რისკების შეფასებას და ანალიზს, როგორც მშენებლობის ასევე ექსპლოატაციის პროცესში, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებს და მონიტორინგს, გარემოსდაცვითი მონიტორინგს, ნარჩენების მართვის გეგმას, დასკვნებს და რეკომენდაციებს(რისკების ანალიზი, საველე კვლევის შედეგები, ტექნოლოგიური ციკლის აღწერა) -- წარმოადგენდა თუ არა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გასაცემად საჭირო და საკმარის დოკუმენტაციას.

დასაბუთება:

პალატამ არ გამოიკვლია და შეფასება არ მისცა ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავდა ეგზ-ს განლაგების რაიონის გარემოზე ზოგად დახასიათებას, ფიზიკური გარემოს დახასიათებას(გეოლოგიური პირობები, ჰიდროლოგია, ფლორა, ფაუნა, კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები), დაგეგმილი საქმიანობით მოსალოდნელი რისკების ზოგად შეფასებას, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი რისკების შეფასებას და ანალიზს, როგორც მშენებლობის ასევე ექსპლოატაციის პროცესში, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებს და მონიტორინგს, გარემოსდაცვითი

მონიტორინგს, ნარჩენების მართვის გეგმას, დასკვნებს და რეკომენდაციებს(რისკების ანალიზი, საველე კვლევის შედეგები, ტექნოლოგიური ციკლის აღწერა) -- წარმოადგენდა თუ არა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გასაცემად საჭირო და საკმარის დოკუმენტაციას მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. პრეტენზია

დასაბუთება:

შუამდგომლობები

შენიშვნა-17 შენიშვნა-18

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

საჩივრის ფასი

შენიშვნა-19

სახელმწიფო ბაჟი

შენიშვნა-20

არაქონებრივი ღარი

300 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდეზი)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე (მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე და 54-ე მუხლების თანახმად, როგორ უნდა განაწილდეს სასამართლო ხარჯები. თქვენი გაანგარიშება სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ).

5.

შპ60/შპ6A-21

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ მორიგების პირობები:
არა რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

შენიშვნა-22

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შენიშვნა-23

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

00:00 - 10:00

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-24 შენიშვნა-25

დანართი 1: სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი.-- ფურცელი.

დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა:

საკასაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ საკასაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა განდეს თქვენს საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მისი მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დიახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ საკასაციო საჩივარი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია, თუ გადაწყვეტილება რა ნაწილშია გასაჩივრებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია საკასაციო მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია საკასაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. საკასაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. საკასაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. საკასაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. საკასაციო საჩივარი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. საკასაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

საკასაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია: <input type="checkbox"/>	საკასაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული: <input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i>	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>
---	--	------------------	------------------------

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მიგუთითებ სრული სანით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ზაზა წიკლაური		09/07/2018წ.
---------------	--	--------------

ხელმოწერა: ხელმოწერის სახელი, გვარი
შევსების თარიღი
შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. როგორც წესი, წარმოდგენილ უნდა იქნეს შევსებული ფორმის ელექტრონული ვერსიაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკასაციო საჩივარი არ არის წარმოდგენილი ნაბეჭდი ფორმით). სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შენიშვნა-26